სახალხო გაზეთი

№ 1115 ხუთშაბათი, 13 თებერვალი 1914 წ. № 1115

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ სამი წიგნი

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

უზომოდ დამწუხრებულნი: **მღვდელი იოსებ ბერიძე, მეუღლე სოფიო იოსების ასული, შვილები: ლავრენტი, ნინო, ალექსანდრე, ნატალია და ვახტანგი** მადლობას სწირავენ იმ ნათესავთ, ნაცნობთ, მოსწავლეთ, მასწავლებლებს და ყველა იმ პირთ, რომლებიც პირადი დასწრებით, წერილით ან დეპეშით პატივი სცეს უდროოდ გარდაცვალებულ პირველების საყვარელი შვილის და მეორეების—ძვირფასი ძმის

ილიკოს

დაკრძალვას. 93

ახალი კლუბი

შაბათს, 15 თებერვალს, 1914 წ.

საოჯახო საღამო.

„მასკარადი“.

საუკეთესო ტანისამოსისათვის და ცეკვისათვის დანიშნულია 6 ჯილდო. ქალები უნიღაბოდ ღამის 1 საათიდან იხდიან ჯარიმას 50 კ. სტუმრები იხდიან კლუბში შესვლისათვის კაცები 1 მ., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კ. დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა: სიმებიანი და სამხედრო. 1054

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

დილის წარმოდგენა

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი

შაბათს, 15 თებერ., სახ. ხ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მასახიობ **ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება აკ. ცაგარლის 4 მოქ. კომედია:

ხანუმა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: კორინთელი, ტანელი, ციმაკურიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ჩხუბიანი, მ. ქართველიშვილი. ბ-ნნი: ანაშვილი, გოცირიძე, დ. ჯედევანიშვილი, ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ვ. რატიშვილი. ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილეთ. კასა ღია ყოველ დღე დილ. 12—2 ს., საღამ. 6—8 ს. **დასაწყ. შუადღ. 12 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** რეჟ. თანაშემწე **ალ. გუგუშვილი.**

25 თებერ., **ბენეფისი რეჟისორის ალ. წუწუნავასი.**

1002 ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტ.

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1604

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი, 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებ.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი მ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარქოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერზლიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ე. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ფსიქ.	**ჯამახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდომევი მ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1436

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1914 წ. ქართ. დრამატ. საზოგ. დასის მიერ

ვალერ. გუნიას საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება:

დონ კარლოსი (ესპანეთის მემკვიდრე),

ტრაგედია 5 მოქ. და 12 სურათ. შილერისა, თარგ. ალ. შანშიაშვილისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, თოიძე, მამულაშვილი, მდივანი, ქიქოძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, გუნია, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი, ხონელი და სხვ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 ს. ◆ ადგილების ფასი საბენეფისოა.

1052 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ადმინ. ქართ. დრ. საზ.

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 16 თებერვალს,

ბენეფისი

მსახიობისა და რეჟისორის ი. ივანიძისა,

ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

კონსტანტინე ბატონიშვილი,

დრამა 5 მოქ. ალ. ყაზბეგისა.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები მომატებულია.

მორიგი წევრი ექიმი **არუშანოვი,** რეჟის. **ი. ივანიძე.** 1059

კვირას, 16 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, **„ახალი კლუბის“** შენობაში დანიშნულია კლუბის წევრთა

საზოგადო კრება.

განსახილველია: 1) 1913 წ. მოქმედების ანგარიში მამასახლისთა საბჭოსი. 2) 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა. 3) მიმდინარე საქმეებისა. 4) კლუბის წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 5) მამასახლისთა, მათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევნები. 1052

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება **წვრილ ნაჭრებად** ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ—საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია; 11—12 ს.-დე.

ელჩიბეგი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიბეგი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაქიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელაწნეც. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

გორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ენუკოვი—ქირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

აბრიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

ალამკარიოვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოსხელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გენაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდოიევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ქ. გორში

(დოქტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1571

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი მ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და სადამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე.
გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიძელაძე
15 იენისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
გადმოვიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ქართული პრესა

პ. გელეიშვილის და დასელების წყალობით დღითი დღე იზრდება სამარცხვინო ლეგენდა ილია ჭავჭავაძის შესახებ, სამარცხვინო მისი შემთხზველებისთვის.

ამას წინად გაზეთმა **„ფიქრმა“** ქვეყანას აუწყა პ. გელეიშვილის ლექციის გამო: „ლექტორმა ცხადად დაამტკიცა, რომ ილია ჭავჭავაძე არ იყო პროგრესისტი, რომ ის არც იქნებოდა ასეთი. ის უმთავრესად შეეხო ილიას ძველს მოღვაწეობას, ფარდა ახადა ისეთ რასმე, რაც ბევრს დღესაც ზღაპარი ეგონება: სახელდობრ, ბევრისთვის მოულოდნელი იყო გაგონება, რომ ილია ჭავჭავაძე ბატონ-ყმობის მოსპობის წინააღმდეგიც კი ყოფილა. რას არ მოესწრება ადამიანი! როდესაც თხუთმეტიოდე წლის წინად ჟორდანიამ „პრესაში“ იწყო იმის მტკიცება, რომ ჭავჭავაძემ თავისი, ბატონ-ყმობის დამგმობი, თხზულებები ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ გამოაქვეყნა,—ამან მაშინ ერთი აურზაური გამოიწვია; დღეს კი ირკვევა, რომ „კაცო ყაჩაღის“ ავტორი თურმე ბატონ-ყმობის გადავარდნის წინააღმდეგი ყოფილა“.

უეჭველია, ლეგენდა ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ჯერ მთლიანი სახე არ მიუღია. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირიათ დასელ ავტორებს, რათა საბოლოოდ რედაქცია გაუკეთონ თავის კოლექტიურს თხზულებას. პ. გელეიშვილი, სხვათა შორის, თავის ლექციაში ასახელებს წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერს (№ 2443), რომელშიაც შეკრებილია მებატონეების აზრები შედგენილია ბატონ-ყმობის შესახებ; ხელნაწერი 1863 წელს აპრილის თვეში და ხელი ვისია, არა სჩანს. „სიმართლის ხმა“ გუშინდელს ნომერში კი ამბობს დარწმუნებით: „ამ საბუთზე თვითილიას ჰუწერია ხელიო“.

ლეგენდის ხასიათის დასასურათებლად ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. დავიცადოთ და ვნახავთ, თუ რა ახალს-ახალს თვისებებს და ვარიანტებს შეიძენს ლეგენდა ახლო მომავალში. დარწმუნებული ვართ, რომ ლეგენდის განვითარება და შევსება-შეკეთება მანამდის არ შეწყდება, სანამ ილია ჭავჭავაძე არ იქნება გამოცხადებული კაცის მკვლელად, პროვოკატორად, გამცემად ან კიდევ სხვა საშინელ დამნაშავედ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის ხმამ ააფრთოვანა რუსეთის მემარჯვენე გაზეთები. სიამოვნებით და დიდის იმედებით მიეგება ამ ამბავს, რასაკვირველია, გამოცდილი მემარჯვენე გაზეთი „მოსკოვის უწყებანი“. **„რუს. ვედ.“** სწერს:

„მოსკოვის მემარჯვენეთა „განახლებულს“ ორგანოს ძლიერ სწყინდა, რომ ჩვენ არაფერი ვსთქვით ამ ხმების შესახებ, არ მოუცადა ჩვენს გამოხმაურებას და გადასწყვიტა თავის აზრის გამოთქმა. გამოსთქვა სრულიად მოურიდებლად, რომ საჭირო არაა ანგარიში გავუწიოთ კანონს და დაუყონებლივ გადავარდვიოთ საგუბარი, რომელიც აჩერებს ცხოვრებას, და რასაკვირველია, ეს „საგუბარი“ საკანონმდებლო დაწესებულებანია. „მოსკოვის უწყებათა“ გაბედულს და რიხიანს ხმას ცოტათი ასუსტებს ის გარემოება, საიდანაც ფარულ ადგილიდან გაისმის: „ვერ გაბედავენ!“ მემარჯვენე გაზეთს არ ჯერა ეს და ამტკიცებს ვრცლად, რომ შეიძლება „გაბედვა“. იგი მოუწოდებს კატკოვის აჩრდილსაც და მოჰყავს მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ „ცხოვრების პროცესი არის მუდმივი რეაქცია და რეაქცია მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ძლიერია ორგანიზმი“, რომ „მხოლოდ მკვდარს სხეულს არ ძალუძს წინააღმდეგობის გაწევა“, „ცოცხალი სხეული კი რეაქციის შემწეობით შორს გაიძევებს ყველაფერს, რაც დაავადმყოფებულია, რაც შხამავს მას“.

გაზეთი „რუს. ვედ.“ რჩევას აძლევს მემარჯვენეებს, ნუ მოუწოდებთ რეაქციონურ ძალებს, თორემ ისე მოხდება, რომ განსძევებელი თქვენ შეიქნებით და არა ის, რის გაძევება თქვენ გწადიათ.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

11 თებერვლის სხდომა.

ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს.

[illegible] საქმეთა შორის არის შრომის ჯგუფისა და კადეტების შეკითხვა მთავრობის მიერ შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის შესახებ.

გრძელდება ადესის არჩევნების წარმოებაზე კომისიის მოხსენებათა განხილვა.

გულოვანი. ადესის არჩევნებში მთავრობა ისეთ ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდა, რომ არჩევნების სისწორეზე ლაპარაკიც შეუძლებელია. მოლაპარაკე მოუწოდებს ეპისკოპოს ანატოლის მიჰბაძოს კალუგის დეპუტატების მაგალითს, ნებაყოფლობით გადადგეს დეპუტატობიდან და ხელმეორედ წარუდგეს ამომრჩეველს.

ლელიავსკი სცდილობს დაამტკიცოს, რომ ადესის არჩევნებში არც ადმინისტრაციის თვითნებობა ყოფილა და არც საარჩევნო სიების სიყალბე. სათათბიროს განყოფილების მემარცხენეთა უმრავლესობამ მოიწადინა რა განზრახულ მსხვერპლის განდევნა სათათბიროდან, შეჩერდა თვით არჩევნების წარმოების პროცედურაზე. მოხსენებებში ჩამოთვლილი უკანონობა არჩევნებისა სრულიად დაუმტკიცებელია; თუ რაიმე უკანონობა იყო, ეს წვრილმანი ტეხნიკური უსწორ-მასწორობაა არჩევნებისა. თუნდაც რომ 110 ბარათი ყალბად ვაღიაროთ, ეპისკოპოს ანატოლის მხარეზე მაინც ხმების უმრავლესობაა.

მოლაპარაკეს იმედი აქვს, რომ სათათბიროს უმრავლესობა უარჰყოფს მემარცხენეთა თვითნებობას და დაიცავს უფლებას, რაიც სათათბიროს არსებობის საძირკველია.

პეტროვსკი. ლელიავსკიმ ვერ უარჰყო ფაქტები, რაიც ადესის არჩევნების უკანონობასა ჰმოწმობს; ეს ფაქტები აღმოაჩინა სათათბირომ, ადგილობრივი მთავრობა კი კანონის დარღვევას ხელს აფარებს.

გერასიმოვი. ადესის არჩევნების გულწრფელი დამცველნი ჰფიქრობენ, რომ ადესის ებრაელობამ თვისი ინტერესების დაცვა პროფესორ ლევაშოვსა და ეპისკოპოსს ანატოლის მიანდო და რომ არჩევნები კანონიერი იყო. თუ ეს ასეა, გასაოცარია პირდაპირ, ამ დამცველებს რატომ ეშინიათ არჩევნების გამეორებისა. ჩვენ გვეუბნებიან: თუნდაც უკანონობა იყოს ჩადენილი, დასტოვეთ სათათბიროში არჩეული დეპუტატები და დასაჯეთ უკანონობას ჩამდენნიო; მაგრამ, ამის მთქმელთ ავიწყდებათ, რომ უკანონობის მფარველად გამოდიოდა მთავრობა. აღნიშნავენ, რომ ეპისკოპოს ანატოლის სათათბიროში ყოფნა საჭიროა; განა უფრო უკეთესი არ იქნებოდა შუამდგომლობა აღეძრათ ეპისკოპოსი ნიკონი დააარჩუნონ სათათბიროში, რომლის არჩევნების კანონიერება სრულიადაც არ არის დარღვეული. ამ საკითხში შეუძლებელია უფლებრივ ნიადაგიდან მიზანშეწონილების ნიადაგზე გადავიდეთ. საჭიროა დავიცვათ ამომრჩეველთა უფლებანი და სათათბიროს ღირსება.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

ნოვიცკი. რევოლიუციის შემდეგ, რამაც დიდი ნივთიერი ვნება მიაყენა ქალაქს, მცხოვრებნი მემარჯვენეებისკენ გადაიხარნენ, მემარჯვენე დეპუტატებს აძლევენ ხმას. ებრაელებიც კი ხმას ეპისკოპოს ანატოლს აძლევდნენ; ისინი ამბობდნენ, რომ პროგრესიულმა პოლიტიკამ ისინი გააღატაკა, ვაჭრობა წესიერად ვეღარ მიმდინარეობდა. არჩევნების დღეს წინასწარ დამზადებული საარჩევნო სიები მხოლოდ მემარცხენე ამომრჩევლებს უპოვნეს. აი ვის ჰსურთ ეპისკოპოსის შეურაცხყოფა, აი ვის ჰსურთ არჩევნების გაბათილება! (ტაში მარჯვნივ).

ჩხეიძე. ამ საქმეში სრული თანამოაზრე ვარ პურიშკევიჩისა და მის მეგობრებისა. ყოველ წოდებას, ყოველ კორპორაციას უნდა ჰყავდეს თვისი ჭეშმარიტი წარმომადგენელი. მეოთხე სათათბიროსთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა ისეთ დეპუტატის დაკარგვა, როგორიც არის მარკოვი მეორე: მის გარდა ვინ იქნებოდა ნამდვილი და ჭეშმარიტი წარმომადგენელი თანამედროვე თავადაზნაურობისა? ასეთი ეგზემპლიარი აუცილებელია თავრიდის სასახლის დასამშვენებლად.

თავმჯდომარე ჩხეიძეს შენიშვნას აძლევს. რადგანაც ჩხეიძე არ დაემორჩილა თავმჯდომარის წინადადებას ელაპარაკნა ადესის არჩევნებზე, მას სიტყვა წაერთვა.

მარკოვი მეორე. გლეხებისთვის ვინ იქნება შესაფერი წარმომადგენელი, თუ არა მართლმადიდებელი ეპისკოპოსი? (ტაში მარჯვნივ).

შულგინი. კვლავ ამტკიცებს თვის განცხადებათა სისწორეს და მხურვალე სიტყვებით მოუწოდებს სათათბიროს გააბათილოს ადესის არჩევნები (ტაში მარცხნივ).

ლელიავსკი. მემარცხენეები უნდა დამშვიდნენ და შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მათთვის ადესა სამუდამოდ დაკარგულია, რომ ეს ქალაქი მათ პოლიტიკურ გეოგრაფიიდან ამოშლილია.

მაკლაკოვი. ამ საქმეში ორი საკითხია საინტერესო: რას იტყვიან ადესის არჩევნების დამცველნი და რას იზამს თვით ეპისკოპოსი ანატოლი. ამ საკითხში ცოტაა კენჭის ყრა, საჭიროა ამ კენჭის ყრის განმარტება, გამართლება. საჭირო არ არის ცოდნა იმისი, თუ რამდენი იყო ყალბი საარჩევნო ბიულეტენი, აქ ის არის საგულისხმო თუ ვინ შეჰყარა სიები—მისმა მეგობრებმა თუ მტრებმა, საქმე ის არის, რომ ეს ფაქტი მოხდა. თუ ყალბი ბიულეტენები არის, მაშ არჩევნები არა ყოფილა და იყო მხოლოდ შულერების თამაში (ტაში მარცხნივ). მემარჯვენეებს ჰსურთ მთელი ეს საქმე პარტიულ ბრძოლის ნიადაგზე გადაიტანონ და ჩვენი საშინელება, ამ უკანონობისა და დაუსჯელობის გამო გამოწვეული, ახსნან, როგორც საშინელება პარტიულ ანგარიშის წაგებისა. მაგრამ მემარჯვენეებს უნდა ახსოვდეთ, რომ არც ერთი პარტიული დავა არა ჰსცემს და ათახსირებს მათ ისე, როგორც უკანონო არჩევნების დაცვა და ქომაგი. თქვენ ეპისკოპოს ანატოლის სასარგებლოდ რომ მისცეთ ხმა, ეს გასაგებია, ბუნებრივი; ეს წარმომადგენლობითი კრებულის საერთო წყლულია. კოლექტიური სინიდისი ხომ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სინიდისი კერძო პიროვნებისა. აი ამიტომაც, რუსეთი როგორც ელის მემარჯვენეთაგან, რას იტყვიან ადესის არჩევნებზე, ისევე ელიან, თუ რას იზამს ეპისკოპოსი ანატოლი. (ტაში მარცხნივ).

მარკოვი სცდილობს დაამტკიცოს ეპისკოპოს ანატოლის არჩევნების კანონიერება.

მომხსენებელი ლაშკევიჩი იცავს განყოფილების დასკვნას.

სათათბირომ კენჭი უყარა საკითხს: სცნობს თუ არა სათათბირომ ლევაშოვის არჩევნებს კანონიერად. სათათბიროს უმრავლესობამ (207 ხმით 80 წინააღმდეგ) ლევაშოვის არჩევნები წესიერად სცნო.

191 ხმის უმრავლესობით 131-ს წინააღმდეგ ეპისკოპოს ანატოლის არჩევნები უკანონოდ იცნეს. კენჭი უყარეს მეორე საკითხს: ეპისკოპოს ანატოლის არჩევნები გაბათილდეს თუ არა. არჩევნების გაბათილებას მოითხოვდა 192 ხმა 145 ხმის წინააღმდეგ. რადგანაც არჩევნების გაუქმებისათვის საჭიროა შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობა, არჩევნები გასაუქმებლად არ სცნეს. (ტაში მარჯვნივ; ხმები: „ვაშა!“).

შეიტანეს და სათათბირომ მიიღო წინადადება, აცნობონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ადესის არჩევნებში მომხდარი უკანონოებანი. წინადადების წინააღმდეგ მემარჯვენენი იყვნენ.

სათათბირო შეუდგა შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის თაობაზე შეტანილ შეკითხვის განხილვას.

გულოვანი იცავს შეკითხვის სისწრაფეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა გუბერნატორებსა და ქალაქის უფროსებს აკრძალონ შევჩენკოს დღესასწაულები, ამის გარდა სამღვდელოებას აუკრძალა 25 თებერვალს შევჩენკოს სულის მოსახსენებლად პანაშვიდების გადახდა. ასეთი განკარგულებანი კულტუროსან სახელმწიფოს ცნებას ეწინააღმდეგება და არც იურიდიულის მხრითაც არის შესაწყნარებელი.

გრ. კაპნისტი მეორე იცავს შეკითხვის სისწრაფეს და შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვას გაუგებრობის ნაყოფათ სთვლის. ადგილობრივ მთავრობას ეშინიან დღესასწაულში უკრაინელ მოძრაობისა; მოლაპარაკე შეგნებული მოწინააღმდეგეა უკრაინელებისა ბრჭყალებში, ამიტომ პროტესტს აცხადებს იმ ტენდენციების მომხრეთა წინააღმდეგ, რომელნიც მალოროსებს თავზე სეპარატიზმს ახვევენ. მაგრამ გიჟების ჯგუფთან ბრძოლის დროს, მთავრობა არ უნდა შეეხოს მალოროსიის ხალხს, რომელთა გულში ცოცხლობს ნამდვილი პატრიოტიზმი, ყოველგვარ ნაციონალიზმის ფუძე. ორატორი იმედოვნებს, რომ მთავრობა უარჰყოფს ხმებს, რომელნიც საზოგადოებას აღელვებს.

სისწრაფე მიიღეს. შეკითხვის არსებითი განხილვას შეუდგნენ.

ივანოვი პირველი შეჩერდა შევჩენკოს მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ მთავრობა სდევნიდა შევჩენკოს იმისათვის, რომ იგი აღვიძებდა ღრმა რწმენას ხალხისადმი.

როდიჩევის აზრით მაშინაც კი, თუ მალოროსიული მოძრაობის აფეთქების მშიშართა აზრსაც რომ დავემყაროთ, მაშინაც კი აკრძალვა გასამართლებელი არ არის, რადგანაც დევნა მხოლოდ დამოკიდებულების გართულებას აძლიერებს. იმ დროს, როდესაც ჩვენში მალოროსების ეროვნულ გრძნობებს სდევნიან, ავსტრიაში უკრაინული უნივერსიტეტი არსდება, რომელიც ძლიერ იარაღია უკრაინელების პროპაგანდისათვის ადმინისტრატიული განკარგულებით შეუძლებელია ეროვნულ გრძნობების დახშობა შევჩენკოს პატივის ცემა არ მოხდება მხოლოდ ჩვენდა სასირცხვილოდ, ეს მოხდება საზღვარ-გარედ. შინაურ შინაურ შუღლის გაზვიადება, მოლაპარაკის აზრით, რუსეთის გარეგან სიძლიერეს ამცირებს.

სხდომა ხვალამდე შესწყდა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სამღვდელოების შორის.** ამას წინად დასრულებულ კრების წარმომადგენლებმა საქართველოს ექსარხოსს ალექსის სთხოვეს, აღეძრა შუამდგომლობა, რათა საქართველოს ეპარქიიდან განდევნილნი მღვდელმთავარნი: კირიონი და დავითი და არქიმანდრიტი ამბროსი სასჯელისაგან გაეთავისუფლებინათ. ექსარხოსმა თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო.

◆ **გ. ი. რცხილაძემ** წერილობითი უარი სთქვა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარეობაზე.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო** პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტისა და ქალთა უმაღლეს კურსების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე ტფ. საზოგადოებას, რათა 2 მარტს ტფ. საკრებულოში საქველმოქმედო საღამო გამართოს.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** დღეს შეამოწმებს იმ ახალგაზრდათ, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად წინა წლებში იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდანი მოვალენი არიან 15 თებერვლამდე გამოცხადდნენ საკრებულოში, რადგანაც ამ რიცხვის შემდეგ საკრებულო აღარავის შეამოწმებს. ვინც 15 თებერვლამდე არ გამოცხადდება იგი სამართალში იქნება მიცემული (მოვლის რვა თვის ციხე) და შეამოწმებენ მხოლოდ მომავალ ოქტომბერს. 15 თებერვლამდე გამოცხადება შეუძლიანთ აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც რამდენიმე წელიწადია სამხედრო ბეგარას ემალებიან. მანიფესტის ძალით მათ ყოველგვარი სასჯელი ნაპატიევები აქვთ, თუ ამ დრომდე გამოცხადდებიან.

◆ „რუსკოე სლოვოს“ ბაქოდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ადგილობრივ საფოსტო-სატელეგრაფო კანტორის მოხელემ რუტკოვსკიმ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვდა ყურადღება მიექციათ საფოსტო-სატელეგრაფო მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმისთვის. დეპეშის ავტორს, რუტკოვსკის წინადადება მისცეს, სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანოს. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგეს სპიცკის, რომელმაც არ დაუშალა ამ დეპეშის გაგზავნა, მკაცრი საყვედური გამოუცხადეს. ტელეგრაფის გამგე კრჟანევსკი 7 დღით დააპატიმრეს ნაობახტში.

◆ **ახალი ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების მასწავლებელთ გ. პ. ბარახსა და ა. ვ. მარკოვს, გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე ჟურნალი სახელად „უწყებანი ტფილისის ქალთა უმაღლესი კურსებისა.“

◆ **ბიბლიოთეკა.** ქუთ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას, გახსნას შორაპნის მაზრის სოფელ არგვეთში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო მ. დ. მაჭავარიანის პასუხისმგებლობით.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა ხვალ, 14 თებერვალს, დილის 11 საათზე, სახალხო სახლში საბავშვო პროექტორს მართავს.

◆ **საბავშვო თავშესაფარი.** ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება დიდუბეში აარსებს მეორე საბავშვო თავშესაფარს, სადაც მოთავსებული იქნება სკოლა, სადურგლო განყოფილება და საკაზმავი სახელოსნო. საზოგადოებას შენობის აგების დაწყება ახლავე უნდოდა, მაგრამ ნივთიერმა ხელმოკლეობამ ხელი შეუშალა. ახლა გუბერნატორმა ნება დართო საზოგადოებას, ერთის წლის განმავლობაში ხელის მოწერით ფული აგროვოს ამ შენობის ასაგებად საჭირო თანხის შესადგენად.

◆ **„მშული-საზანდარნი ძველს საქართველოში“.** ამ თემაზე ლექციის წაკითხვის განზრახვა აქვს კ. ი. დოდაშვილს ტფ. ყველა სასწავლებლის უფროს კლასების მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის. ამის გამო ბ-ნმა დოდაშვილმა ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. გამგეობას წერილობით სთხოვა, იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა ამ ლექციის წაკითხვის ნება დართონ. გამგეობამ თხოვნა წინასწარ განსახილველად ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობ სექციას გადასცა.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგურს** 1913 წ. განმავლობაში გაუცია 33,883 მ. 44 კაპ. ენერგია. 1914 წლის 1 იანვრისთვის ამ ფულიდან შემოსულა 17,614 მ. 77 კ. 1914 წ. 1 იანვრისთვის სადგურს 616 აბონენტი ჰყოლია.

◆ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალი **„სასოფლო გაზეთი“** № 5 შემდეგის შინაარსით: ცოტა რამ მეფუტკრეობის შესახებ, საკრედიტო ამხანაგობები—ა. ინწკირველისა, იტალიის მეურნეობის წინსვლა—ძველი მეგობრისა, მევენახეთა საყურადღებოდ—კ. ბერეკაშვილისა, ინდოურების მოვლა-მოშენება—ა. ლ—ი, ვაზის მოშენება გურიაში—აგრიკოლასი, წერილი მოუსავლობის გამო—ალ. ვაშაკიძესი, ფელეტონი, სოკოების გარჩევა—აგრ. რ. გ—შვილისა, წერილი რაჭიდან—ამირანისა და სხ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭომ** თვის უკანასკნელ კრებაზე აირჩია: საბალნეოლოგიო კომისიის წევრებად შემდეგი ხმოსნები: მ. ზ. ავთანდილოვი, არუთინოვი, გ. ი. ბარტი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, პ. მ. დოლუხანოვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ს. გ. მაზმანოვი, ა. ნ. მილოვი, ა. თ. ფრიდონოვი, ლ. თ. ტიგრანოვი, ა. რ. ფიშერი და ს. თ. ქრელაშვილი. ქალაქის ლომბარდის სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩია: გ. ზ. თამამშევი, ს. ქ. სულხანოვი და ა. ნ. მილოვი.

◆ **ქალაქის სატყეო საბალნეო კომისიის** კრება 14 თებერვლისთვის არის დანიშნული კომისიის თავმჯდომარისა და მის ამხანაგის ასარჩევად.

◆ აღიძრა შუამდგომლობა, რათა ბათუმში დაარსებულ იქნას **კავკასიის საიურიდიო საზოგადოების** განყოფილება.

◆ **სამელიორაციო კრების მომწვევ კომიტეტის ბიუროს** კრება 11 თებერვალს მოხდა მეფის მოადგილის თანაშემწის პეტერსონის თავმჯდომარეობით. ბიუროს და კომიტეტის თავმჯდომარედ კრებამ აირჩია ბ-ნი პეტერსონი, ხოლო ბიუროს მდივნად—ბ-ნი ბრაილოვსკი. ბიურო მუშაობას მომავალ კვირას დაიწყებს.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება, რომელიც 11 თებერვლისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

◆ **ახალ კლუბის** წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 16 თებერვლისთვის. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს 1913 წლის ანგარიში, 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა და აირჩიოს მამასახლისნი და სარევიზიო კომისიის წევრნი.

◆ **რუსული კლუბის** წევრთა საგანგებო კრება 11 თებერვალს მოხდა. კრებამ დაადგინა, შეიძინოს რიჩისაგან 35,000 მანეთად კლუბის გვერდით მდებარე 500 ოთხკ. საჟენი მიწა და იქ საზაფხულო როტონდა აგოს.

სომეხთა ცხოვრება

◆ **კავკასიის სომხის მწერალთა საზოგადოება.** ამ „საზოგადოებამ“ გადასწყვიტა გამოსცეს დრო გამოშვებით კრებულები სახელად „სომხური მწერლობის არქივი“ კრებული გამოვა წელიწადში ორჯელ და შიგ დაიბეჭდება მასალები სომხური მწერლობისა და სომხის მწერლების შესახებ. გარდა ამისა „საზოგადოებას“ განუზრახავს დაარსოს „სომხის მწერლების სახლი“, სადაც შეკრებილი იქნება სომხის მწერლების და საზოგადო მოღვაწეების ხელნაწერები, წერილები და სხვა.

გორი

◆ **გაძარცვა.** სოფ. ზემო-აჩაბეთთან სამმა უცნობმა გასძარცვა სესე ქელეხსაშვილი და შაქრო სალამაძე. პირველს წაართვეს 40 მან. ფულად და 129 მან. ნივთები, მეორეს წაართვეს 30 მან. ფულად. პოლიციის ცნობით, თავდამცემნი იყვნენ: მათე თიბილაშვილი, ვასილ ფილიშვილი და მესამე უცნობი, რომლის გვარიც გამოურკვეველია.

დღიური

პროვოკაციული მიდრეკილება.

ერთი მეტის მეტად ცუდი სენი დასჩემდა ქართულ გაზეთებს—აღვირაშვებული ლანძღვა-გინება მოწინააღმდეგეებისა, სრული უპატივცემლობა ერთმეორისა, გაავეფთრებული, ღვარძლიანი, გაუგებარის ზიზღით აღსავსე კილო პოლემიკისა. იშვიათად თუ სადმე შეხვდებით ისეთს პირდაპირ გიჟურს გალაშქრებას მოპირდაპირის წინააღმდეგ, როგორც ჩვენში. რაღაც ველურობის ნაშთი გამოსჭვივის ჩვენი გაზეთების წერილებიდან: თუ ვინმე მოწინააღმდეგეა, უთუოდ ქვეყნის დამღუპველია, ყოვლად საძაგელი და ჩამოსახრჩობი ადამიანი. სამწუხაროდ ეს მარტო გაზეთებს არ სჩვევია; ეს დამახასიათებელი თვისებაა მთელი ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრებისა. ერთი განათლებული რუსის ქალი, რომელსაც ბევრი უმუშავნია სახალხო საქმეებისთვის რუსეთში, მოწადინებული იყო, ჩვენში გაეკეთებია რამე, გაეცნო სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობას და უკანასკნელის წევრებს უნდოდათ მისი გამგეობაში არჩევა; მაგრამ როგორც კი დაესწრო ეს უნივერსიტეტის ერთს საზოგადო კრებას და ნახა, რა უცნაურის სიბრაზით და უზომის სიტყვებით იხსენიებდა კრება გამგეობის წევრებს, დაუყოვნებლივ დაანება თავი ყველაფერს და გარედ გამოვიდა. ასე მეგონაო, ამბობდა შემდეგ: კაცის მკვლელებს ასამართლებდნენ და არა გამგეობის წევრების ნამუშევარს არჩევდნენო.

ჩვენ არ შეგვიგნია ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ ვინც უნდა იყოს მოწინააღმდეგე, არასოდეს არ უნდა დავკარგოთ პატივისცემა მისი ადამიანური პიროვნებისადმი; რომ შეიძლება, ადამიანი შენი იდეური მტერი იყოს, მაგრამ ამის გამო არ უნდა დაჰკარგო ყოველივე ზნეობრივი მოვალეობა; რომ შეიძლება ადამია-

ნის მოქმედება გაჰკიცხო, დაჰგმო, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საზღვარ გადასული, არ უნდა იყოს არა-ადამიანური; შეიძლება საკუთარმა გამარჯვებამ ფრიად გაგახაროს, მაგრამ ბრმა სიხარულს და აღტაცებას არ უნდა მიეცემოდე მოწინააღმდეგის ყოველის მარცხისა და წაქცევის გამო; მოწინააღმდეგის ტანჯვა და წამება არასოდეს არ უნდა გამოიწვევდეს ჩვენში სიამოვნების გრძნობას, რადგან ასეთი გრძნობა ყველა დანაშაულზე უსაშინლესი დანაშაულია. დიდებულმა ილიამ ძვირფასი სიტყვები სთქვა 1877 წელს: „ადამიანის ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში ადამიანმა ადამიანს გულახდილად მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრული გრძნობა, ღირსება, პატივი“. დღევანდელს მწერლებს და მოღვაწეებს აღარ გვახსოვს ეს მუდამ მოსაგონებელი მშვენიერი სიტყვები და საკუთარის რწმენის და პოლიტიკურის პროგრამის ღალატად მიგვაჩნია, თუ მოწინააღმდეგეს პატივისცემით მოვეპყარით, არ შევაგინეთ და ფეხით არ გავთელეთ მისი პიროვნება; ჩვენთვის წარმოუდგენელია, ისე ვებრძოლოთ მოპირდაპირეს, რომ ამ ბრძოლის დროს არ შევურაცხყოთ მისი ადამიანობა.

დიდის გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ არავითარი გამოფხიზლება არ გვეტყობა და კეთილშობილების მაგიერ კილო ჩვენის დროგამოშვებითის მწერლობისა დღითი-დღე უარესდება. ჩვენი პრესის შეუფერებელმა ხასიათმა პეტერბურგამდისაც კი მიაღწია და იქაურმა სამედიატორო სასამართლომ საქვეყნოდ გაჰკიცხა ქართული მწერლობის აღვირ-აშვებულობა, მაგრამ ეს გაკიცხვა თითქოს არავის გაუგონია. ჩვენი გაზეთების კილო ეხლა უფრო უზომოდ გამწარებული და დაცემულია, ვიდრე იყო ამ რამდენისამე ხნის წინად. წინანდელს ნაკლუნევანებას დღეს ახალი შეჰმატეს ძირეულად მოურიდებლად, ახლა მიმართავენ მოწინააღმდეგის დასამცირებლად უმსგავს ცილისწამებას, მაბეზღრობას და რაც ყველაზე უფრო საზიზღარია—პროვოკატორობას.

არ შემიძლია, სხვა სახელი ვუწოდო, თუ არა პროვოკატორობა ზოგიერთი გაზეთების საქციელს. ამ დღეებში ერთი გაზეთი აბეზღებდა რუსეთის მთავრობასთან სომხებს,—ამათ რუსეთის საზღვრებში ისეთი ავტონომია უნდათ დაარსონ, როგორიც ოსმალეთშიო, და ეს განა სახელმწიფოს ინტერესებს შეეფერებაო; მერე ტფილისის ქალაქის გამგეობის კანდიდატად რუსი დაასახელა და მიუთითა ვისაც ჯერ არს: თუ სომხებმა ეს კანდიდატი არ აირჩიეს, ცხადია რუსების წინააღმდეგნი ყოფილან საზოგადოთო. მეორე გაზეთმა საჯაროდ გამოაცხადა: აქა და აქ ფარული კრება იყო და ესა და ეს გადასწყვიტესო. მესამემ დასწერა: ამა და ამ ქალაქში „მუშათა სოციალისტური ბიურო“ დაარსდა, რომლის დამაარსებელნი და წევრები ეს და ეს პირები არიანო; მეოთხემ ოფიციალურის ღია წერილით მიმართა მოწინააღმდეგე გაზეთს: გამოაცხადე, რომელი პარტიის აზრების მქადაგებელი ხარო, და სხვა და სხვა.

სასიამოვნო აღარაა ასეთის ფაქტების ჩამოთვლა. უარყოფილია ყოველივე ზნეობრივი საზღვარი. ყოველი საშუალება კანონიერადაა გამოცხადებული, თუ კი ამ საშუალებით მოწინააღმდეგე დამარცხდება. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ამას არც მალავენ. ერთის გაზეთის წარმომადგენელმა ერთს კრებაზე საქვეყნოდ გამოაცხადა: პოლიტიკა და ზნეობა სხვა და სხვა დარგია და თუ რამ სასარგებლოა, ის პოლიტიკაში მისაღებიც არისო. როგორც მოგეხსენებათ, ყოველი ქართველი უპირველესად პოლიტიკოსია და მერე ადამიანი. მაშასადამე, მისთვის ყოველი საშუალება ხელსაყრელია, მოსაწონია, თუ კი მით მოწინააღმდეგეს წინ გადაეღობება, დამცირებს და დაღუპავს.

სწორედ საშინელს ზნეობრივს ატმოსფერას ჰქმნის ასეთი პოლიტიკა და სრულს გადაგვარებას და გახრწნას განუმზადებს საზოგადოებას, თუ დროზე არ იქმნა მიღებული ზომები მის გასაწმენდად. არც ერთი ერი არასოდეს არ აღმდგარა უზნეო პრინციპების დამკვიდრებით. ხალხის ზნეობრივი გაფაქიზება უძლიერესი იარაღი იყო ყოველთვის ერის აღსაორძინებლად და ვინც არ ზრუნავს ზნეობის დაცვას და პირიქით მოუწოდებს ხალხს ზნეობის გადასალახავად, იგი ერის უდიდესი მტერია!

სიტყვა.

ჩემი აზრი თევდორე ჟორდანიას შესახებ*)

(წერილი რედ. მიმართ).

რა უბედურები ვართ ქართველები! რა მჩატე ხალხი ვართ! როგორ ზერელედ, დაუკვირებლად ვიცით ხოლმე ლაპარაკი! როგორ ადვილად გავაშავებთ, ჩავქოლავთ ხოლმე იმ ადამიანს, რომელიც რითიმე გვაწყენინებს, რომელიც რითიმე არ მოგვწონს!..

ჩვენში „პატრიოტის“ სახელიც ადვილი მოსახვეჭი ყოფილა და მოღალატისაც! აბა, ცოდვა არ არის, რომ თ. ჟორდანიას მოღალატე, „გამცემლიძე“ უწოდონ, და იმას კი, რომელიც ცარიელ სიტყვებს არახუნებს თავისიანებში, საქართველოს ერთგულ შვილად და მოღვაწედ სთვლიდნენ!..

თ. ჟორდანიას რო სულითა და გულით უყვარდა (და უყვარს) სამშობლო და მას დიად ემსახურებოდა, ეს ცხადად სჩანს შემდეგ ფაქტებიდან:

1) იმისი ურიცხვი შრომა ქართულ ენისა და ისტორიის კვლევისთვის დადებული.

2) მუდმივი, წრფელი, მხურვალე სწავლა-დარიგება მოსწავლეებისადმი სემინარიაში მასწავლებლობის დროს. მე თვითონ მოწამე ვარ იმისი, თუ როგორ გვეჩიჩინებოდა იგი გაკვეთილებზე გამოგვეჩინა ინტერესი საქართველოს ისტორიისა და სიძველეთადმი. მე თვითონ კარგა ლამაზად შემახურა, გამაწითლა მეოთხე კლასში საქართველოს ისტორიის ეგზამენზე, რომელზედაც თავმჯდომარედ იყო დობრონრავოვი „შამალი“ რუსი და ასისტენტად კიდევ ვიღაცა რუსი: ძალიან სუსტად მივუგე, ვერ ჩამოვუთვალე საეპისკოპოსოები ძველად საქართველოში.

3) მუყაითი შრომა ქართულ ენის სწავლების შემოღებისა და გავრცელებისათვის სემინარიაში. მოწამეა, გარდა ქაღალდებისა, ბ. ნიკოლოზ მახათაძე, დირექტორი საკომერციო სასწავლებლისა. მან მიამბო, რომ თედორე გაბედულად იცავდა სიმართლეს და მოქმედებდა.

4) მზრუნველობა, რომ ქართული ენა კარგად ესწავლებინათ სამეგრელოს სკოლებში. მე თვითონ დავსწრებივარ ჟორდანიას სამეგრელოს სკოლებში და მინახავს, თუ რა ყურადღებას აქცევდა იგი ქართულ ენის სწავლებას. ამასვე დაამოწმებს ტფილისში მყოფი ბ. კირილე არველაძე, რომელიც იმ ხანებში ბანძის სასწავლებელში მსახურობდა. მე შევეკითხე სამეგრელოში სამსახურში მყოფ პირებს (ზოგიერთებს), რომლებიც თ. ჟორდანიასთან დაახლოვებულნი იყვნენ სამსახურისა გამო და ხედავდნენ იმის მოქმედებას. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ იგი დიდი მოყვარული იყო ქართველობისა და ცდილობდა ქართული ენა გაემაგრებინა სამეგრელოში.

საქმე, საქმე, და არა სიტყვა!..

ეპისკოპოსი დავითი.

ქ. პიატიგორსკი.
1914 წ., 22 იანვარსა.

კეთილი მასწავლებელი

(ს. ბ. ღოღობერიძის ხსოვნას).

ვისაც გიმნაზიაში უსწავლია და ხანგრძლივი წვალების შემდეგ ცხოვრებაში გამოსულა სამოქმედოდ, კარგად იცნობს ამ სასწავლებლის ვითარებას. იგი არა-ერთხელ დაფიქრებულა იმის შესახებ, რომ გიმნაზია, იმისი წყობილება, იქ გამეფებული წესები—აუტანელი იქნებოდა ბავშვებისათვის, ყოვლად შემძლე ადამიანის ბუნებას რომ არ გამოეძებნა ერთი ჯადოსნური წყარო მოსწავლეთათვის ტვირთის შესამსუბუქებლად. ეს წყაროა—ზოგიერთ მასწავლებელთა გულში დაბუდებული სიკეთე; ჩამოაცალეთ იგი გიმნაზიებს, და ნამდვილი საკატორღო ციხეები შეგრჩებათ ხელში.

მასწავლებელი გვასწავლის არა იმ სიტყვით, რომელიც იმის ენას გამოკრთის, არამედ იმ გრძნობით, რომელიც იმის გულში სჩქეფს. თუ ენასა და გულს შუა კეთილი განწყობილება, მწყობრი თანხმობა არ არის, მასწავლებელი უმნიშვნელო მკრთალი, ან შავ-ბნელ ლანდივით გაივლის ხოლმე ჩვენ ცხოვრებაში.

განსვენებული სიმონ ბესარიონის ძე მსოფლიო ისტორიას გვასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში. გულში ჩაგვრჩა, სამუდამოდ ჩაგვენერგა არა მის მიერ გადმოცემული ისტორიული ფაქტები, არა სხვა და სხვა მოვლენანი, კაცობრიობის წარსულიდან, არამედ ყველაზე უფრო ძვირფასი და საყვარელი მოვლენა—თვით პიროვნება ჩვენი მასწავლებლისა.

როცა დავფიქრდები იმის შესახებ, თუ რატომ არ მოგვიშხამა სამუდამოდ გული ამ ილოვაისკის სახელმძღვანელომ, რატომ არ შეგვაძულა კაცობრიობა და იმისი ყალბად წარმოდგენილი წარსული, აქაც განსვენებული მასწავლებლის პიროვნება გამახსენდება ხოლმე. გულით მწამს, რომ თვით მის პიროვნებაში სჩქეფდა ის ძალა, ის მკურნალი წყარო, რომელიც ჩვენ გულში ილოვაისკის წიგნიდან გადმონადენ საწამლავს ებრძოდა და აქარწყლებდა.



იოჰან-ფრიდრიხ-შილერი, დიდი პოეტი გერმანელების. დაიბადა 1759 წ. 10 ნოემბერს, გარდაიცვალა 1805 წ. 9 მაისს.
(დღევანდელი წარმოდგენის გამო)

გულ-კეთილი, აუშფოთველი, ღიმილიანი ჩვენი მასწავლებლის სახე ახლაც ცოცხლად მიდგას თვალწინ.

სიმონ ბესარიონის ძე, მკვიდრი ძმა ცნობილ განსვენებულ ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძისა, დაიბადა ქ. ქუთაისში, 1842 წ. მამა მისი განათლებული კაცი იყო და შვილის აღზრდა-განათლებას დიდი ყურადღებით ეპყრობოდა.

დედა ადრე გარდაეცვალა სიმონს: ის მაშინ ორი წლის არ იქნებოდა. დაობლდა ოთხი ვაჟი და ერთი ქალი.

სიმონი ადრე მიაბარეს გიმნაზიაში. გიმნაზიის კურსი მან პირველ მოწაფედ დაასრულა. იმ დროს მამა გარდაეცვალა. სიმონი ჩვიდმეტი წლისა გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც შეირიცხა უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ნიჭიერმა, მშრომელმა სტუდენტმა მალე მიიქცია პროფესორების ყურადღება. დაუახლოვდნენ, კარგად გაიცნეს და შეიყვარეს ცნობილ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩერნიშევსკის წრეში, სადაც იმ დროს რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია იკრიბებოდა.

სიმონი დაახლოვებული იყო აგრეთვე პროფესორ ჩუბინაშვილთან, რომელმაც კარგად დააფასა იმისი ნიჭი და შრომის უნარი და სურვილი ჰქონდა, რომ მის შემდეგ ქართული კათედრა პეტერბურგის უნივერსიტეტში სიმონისათვის მიეცათ. მალე მოხდა არეულობა პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი დაიხურა. სიმონი გადავიდა ჯერ მოსკოვის, შემდეგ კიევის უნივერსიტეტში, სადაც 1866 წელს დაასრულა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.

სიმონი არ დარჩა რუსეთში: სული სამშობლოსაკენ იზიდავდა, სადაც განათლებულ მუშათა რიცხვი მცირე იყო. ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ, იგი შევიდა მასწავლებლად რეალურ სასწავლებელში. მონაწილეობას იღებდა ქართულ პრესაში, სწერდა წერილებს „ვაკლის“ ფსევდონიმით.

მცოდნე, ნიჭიერ მასწავლებელს მალე მიაქციეს ყურადღება და დანიშნეს წევრად კომისიისა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ისტორიის სწავლების პროგრამა საშუალო სასწავლებელთათვის.

1867 წელს, სასამართლოს რეფორმის დროს, სიმონი გადავიდა სასამართლოს უწყებაში და გაემგზავრა რაჭაში. 1869 წელს დაბრუნდა ქუთაისში და მიიღო ისტორიის მასწავლებლის ადგილი ვაჟების გიმნაზიაში, სადაც ოცდა ხუთი წელიწადი დაჰყო და ხშირად ასრულებდა გიმნაზიის გამგისა და პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას. ამავე დროს ის იყო ხმოსნად ქალაქის საბჭოში და წევრად სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტში.

განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქუთაისის ბანკის დაარსების საქმეში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს განსვენებულის საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი: ბროსსეს „საქართველოს ისტორიის“ თარგმანი, რომელიც ორ ტომად გამოვიდა.

ილია ნაკაშიძე.

ქართული ენა მეორე გიმნაზიაში

მეორე გიმნაზიაში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ ატეხილმა ლაპარაკმა ჩემი ყურადღებაც მიიქცია, როგორც ქართველი მშობლისა. დიაღ, სამწუხარო და სავალალოა ასეთი მოვლენა, მაგრამ საჭიროა გამოვიძიოთ ძირითადი მიზეზები. ვერაფერს ვიტყვი უფროსი კლასების შესახებ, რადგანაც ჩემი შვილი ჯერ-ჯერობით უმცროს კლასშია, მაგრამ მე მსურს პირველი განყოფილებიდანვე გაგაცნოთ, თუ რა მდგომარეობაში არიან საწყალი ქართველი ბავშვები. ჩემი შვილი მეორე გიმნაზიის პირველ მოსამზადებელში მიიღეს. ბავშმა საკმაოდ კარგად იცოდა ქართული კითხვა და მეორე ნაწილი „დედა-ენა“ გოგებაშვილისა თითქმის გავლილი ჰქონდა. მივიდა თუ არა, დააწყებინეს ისევ ანბანი პირველი ნაწ. გოგებაშ. „დედა-ენა“, შემდეგ აკითხეს მეორე ნაწ. I და II განყოფილებაში კვირაში სამი გაკვეთილი ჰქონდათ, ამ გაკვეთილებისათვის დათმობილი ჰქონდათ 1, 3, 5 გაკვეთილი, ასე ორი წლის განმავლობაში. I და II კლასებში კი კვირაში 3—4 გაკვეთილი აქვს დათმობილი, მხოლოდ მეექვსე გაკვეთილი. სიმართლე რომ ვთქვათ, გაკვეთილების რიცხვი საკმარისია, სამწუხაროა მხოლოდ ის არის, რომ საგანი არ ისწავლება რიგზე და ისიც, მეექვსე გაკვეთილად. მაშინ, როდესაც ფრანგულს და გერმანულს 1, 2 და 3 გაკვეთილი აქვს დათმობილი.—რა ცუდი გავლენა აქვს ამას ბავშვებზედ, ამაზე უკვე იყო გაზეთში. ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ასწავლიან ამ საგანს პირველი განყოფილებიდანვე: დაიწყეს „დედა-ენა“ I ნაწ. მერე II ნაწ., მაგრამ წლის განმავლობაში არ შეუსწავლიათ არც ერთი საუბარი (რაც შეადგენს წიგნის უმთავრეს მასალას), არც ლექსები და არც საპასუხოები დაუწერიათ. წლის განმავლობაში ერთი რვეულიც არ გაუთავებიათ.

II განყოფ. ისევ დედა-ენა II ნაწილი და ამ ორი წლის განმავლობაში წიგნის მეოთხედიც არ შეუსწავლიათ. ისიც აღსანიშნავია, რომელმა ბავშმაც კითხვა არ იცოდა მასწავლებელი მიუჩემებდა რომელიმე მცოდნე მოწაფეს, რომ ესწავლებინა, ასწავლიდა თუ არა, ეს ღმერთმა უწყის. არც მეორე წლის განმავლობაში სწერეს რამე. პირველ კლასში ბავშვებს აყიდვინეს „დედა-ენის“ შემდეგ, ქართველი მწერლები გომელაურისა I ნაწილი. და წლის განმავლობაში წაიკითხეს: (წაკითხვას იმიტომ ვწერ, რომ ქართველ ბავშვებს გიმნაზიაში არც კი შეუძლიანთ წარმოიდგინონ, რა არის ქართული გაკვეთილის დასწავლა, რადგანაც არას დროს არა ჰკითხავს მასწავლებელი.) მოგონება ვაჟასი, შვლის ნუკრის ნაამბობი, ჩხიკვთა ქორწილი, რა ზიზღით მიცქერი და მოგონება აკაკისა. ლექსი არც ერთი. სულ არ უწერნიათ. ამ პროგრამით დასრულდა ეს წელიწადი.

II კლასში რომ გადავიდნენ, აყიდვინეს ბუნების კარი (ე. ი. უკან დაბრუნდნენ. ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ საგნის შესწავლა საჭიროა მიმდინარეობდეს თანდათანობით, ადვილიდან გადადიოდეს ძნელზე. აქ კი სულ სხვა მოვლენასა ვხედავთ, არ არის დაცული პედაგოგიური და დიდაქტიური მოთხოვნილებანი). და გრამატიკა ხუნდაძისა. ერთი ორი გრამატიკული ფორმა აუხსნეს და მერე უთხრეს, საჭირო აღარ არისო. ბუნების კარში წაიკითხეს: ქინაქინა, კაკანათი, ზღაპარი სამი ძმა, მხოლოდ ერთხელ ვითომც თავიანთ სიტყვით დასწერეს ფურცლებზე: „როგორ გავატარეთ ზაფხული“. ფურცლები აღარ დაუბრუნებიათ. ბავშვებმა არ იციან, ხეირიანად დასწერეს თუ არა. წელიწადი თავდება. არ დაუწერიათ. იბადება კითხვა, რას აკეთებენ ბავშვები მთელი წლის განმავლობაში მასწავლებელთან ერთად?! კვირაში სამი გაკვეთილი საკმარისია, თუ კი სწავლობდნენ! დიახ სწავლობდნენ, რჩებიან მეექვსე გაკვეთილზედ საბრალო ბავშვები მშივრები და სახლში ბრუნდებიან ოთხ ნახევარზედ.

აი რას აკეთებენ: თითონ მასწავლებელი უზიდავდა შარშანაც და წრეულსაც ასეთ დიდებულ წიგნებს მოზარდ თაობისთვის: ჩანგი, მოლამასრადინა და სხ... კლასში აკითხებდა ისიც იმათ, ვინც კითხვა იცოდა და მთელი წელიწადი აცინებდა, ალიკლიკებდა ბავშვებს კლასში.

ჩანგიდან, მაგალითად, წაუკითხავთ: „ოჰანეზას ნადირობა“, „ჯიურქას გასეირნება მუშტაიდში“, „ინჟინერი“, „მაშარადა“ „ახჩიკ ფეფელა“ და სხ... დაქანცული ბავშვები ბრუნდებიან სახლში და კინტოურის კილოთი იძახიან: „ადე, ადე წამოეთრიე სახლში, რა შენი საქმეა მუშტაიდი“. და სხ. აი, დიდებული საზრდო მოზარდ თაობისთვის, აი მასალა გონების გასავითარებლად. იმის მაგივრად, რომ ბავშვებს ჩვენი წარსული შეაყვარონ, გააგებინონ ჩვენი ნაკლი, დაბეჩავება, თუ რა ვიყავით და რა გვესაჭიროება, ფუქსავატობაზედ ართობენ ბავშვებს. ამას ზედ დაუმატეთ ისიც, რომ მასწავლებელს თურმე ხშირად ავიწყდება კლასში შესვლა, ცდით მოღლილი ბავშვები სათითაოდ გარბიან და უძახიან, მასწავლებელო ზარი დაირეკაო. ამასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ კლასში სხედან ისეთები, რომ სრულებით კითხვა არ იციან, მაგრამ მაინც ქართულ ენაში სამი უწერიათ. მაშ ეს გარყვნა არ არის ახალი თაობისა?! ან რა გასაკვირველია, რომ ბავში არ დარჩეს გაკვეთილზედ განა რას ისწავლის ის ბავშვი, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი ესმის სახლში, მეტს კითხულობს, რასაკვირველია ზემოთ მოყვანილი გაკვეთილები მასხრობათ ეჩვენება. ამის გარდა თუ კი ხეირიანს, საძირკველს არ ჩაჰყრით, როგორ ააშენებთ კედლებს, ხომ ვერ დაიმაგრებს, სწორედ ესეც მოსდით ჩვენ საბრალო შვილებსა: პატარაობით ამახინჯებენ, ცოდნა სრულებით არა აქვთ, არ შეუძლიანთ თავიანთი აზრი გამოსთქვან არც სიტყვიერად, არც წერილობით, არ უღვივით გულში სიყვარული სამშობლო ენისადმი, არც წარსულისა და მომავლისა იცის რამე. ამიტომაც გულ-გრილად ექცევა და არც სწავლობს. უფროს კლასში როგორ უნდა ისწავლოს იმ ბავშმა, რომელმაც კითხვა არ იცის.

მაშ, სად ვეძიოთ სიბოროტე? სათავეში, დასაწყისში.

დაუნიშნეთ ბავშვებს კარგი მასწავლებელი, თავიდგანვე შეაყვარეთ დასაწყისშივე სამშობლო ენა, დაუნიშნეთ გაკვეთილები ხან მაინც მე-3 მე-4, მე-5 და დარწმუნებული ვარ, ყველა ბავშვი დიდის სიამოვნებით შეიყვარებს საგანს და ივლის კიდეც გაკვეთილებზე.

შვილს რომ ვაბარებდი გიმნაზიაში სწორედ იმის შიში მქონდა, ქართულს არ ასწავლიან მეთქი, მაგრამ, როცა პროგრამა გადავათვალიერე, გამეხარდა, თუ კიამდენს ასწავლიან, რა უშავს მეთქი. მაგრამ სად არის.

ვამტყუნებ იმ მშობლებს, რომელთაც განაცხადეს ენის სწავლების გაუქმება—ასე ზერელად საგნის შეხედვა ფრიად სამწუხაროა. მათ აქამდისაც უნდა შეეგნოთ, რომ სათავეშივე არსებობს სიბოროტე და საჭიროა მისი აღმოფხვრა.

მშობელი.

მოწერილი ამბები

სოფ. ხაშმი. ს. ხაშმზე აგერ მთელი წელიწადია არსებობს ხაშმელ 8—9 ახალგაზრდა გლეხი ბიჭებისაგან შემდგარი მგალობელ-მომღერალთა გუნდი. ამათი მწყობრი და მშვენიერი გალობა ეკლესიაში მრავალს მლოცველს იზიდავს; წინად თუ მღვდელი ცარიელ კედლებისთვის ლოცულობდა-სწირავდა, ეხლა, როცა ეს გუნდი გალობს, ეკლესია ხალხით სავსეა მუდამ.

სოფელში ისეთი ყურადღება დაიმსახურეს, რომ კინაღამ ყოველ საზეიმო მოვლენის დროს გუნდს იწვევენ; მეტადრე მიცვალებულის დასაფლავებაზე უეჭველად იწვევს ყველა, ვინც კი ცდილობს, თავის მიცვალებულს პატივი სცეს. თავდაპირველად თუმცა შრომის სასყიდელს არ იღებდნენ ესენი, მაგრამ ბოლოს, რაკი ხალხიც სიამოვნებით აძლევდა გასამრჯელოს და თითონაც დროს ჰკარგავდნენ, იღებენ ფულს, ვინც რას მისცემს.

ამ გუნდს იწვევენ აგრეთვე მეზობელ სოფლებშიც: სართიჭალაშია პატარძეულში და უჯარმაშიც. მაგრამ საინტერესო ის არის, თუ ეს გლეხის ბიჭები ვინ შეა[illegible] ჩაუდგა მათს შრომას ასეთი სული, რომ ხალხმა ერთბაშად ყურადღება მიაქცია მათს მართლაც სასარგებლო და სასიამოვნო შრომას?

ამის მოთავე, დამწყობი და სულის ჩამდგმელია ერთი მწირ-ბერი იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა **გიორგი ეპიტაშვილი,** რომელსაც ყოველივე ხელს უწყობს ამ მშვენიერ საქმის განსახორციელებლად. ხმა, კილო, ცოდნა და ენერგიაც. აი ასეთი უჩინო, მაგრამ თავდადებული მუშაკნი ღირსნი არიან მადლობისა, ღირსნი არიან წახალისებისა და გამხნევებისა, ვისაც რით შეუძლიან.

გიორგის დაარსებულმა გლეხის ბიჭების მომღერალ-მგალობელთა გუნდმა კეთილი საქმის დახმარებაც განიზრახა; თავის მცირეოდენი შემოსავლიდან გადასდო ხუთი მანეთი სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოსთვის და ამ ხუთ მანეთს დიდის სიამოვნებით გიგზავნით, ბ. რედაქტორო, დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

დათიკო.

ქიზიყი. რადგანაც ამინდზეა დამოკიდებული მდგომარე წლის მოსავალიც, ამიტომ ისევ ამინდის შესახებ მინდა მოგწეროთ.

წარსულმა 1913 წელმა თუ გვალვით, უთოვლოდ და მშრალად გაიარა, რის მიზეზითაც ქიზიყში სულადის მოსავალი ძრიელ ნაკლები იყო ალაგ ალაგ კი, როგორც ს. ქვემომაჩხაანელთა მინდორში, სრულებითაც არაფერი,—სამაგიეროდ დამდეგმა 1914 წელმა შვიდს იანვარსავე მშვენიერი, ქუჩუნა, აპრილისებური წყნარი წვიმით მოგვილოცა. რასაკვირველია დათესილ მინდვრებსაც მოუხდებოდა, გააფუებდა ასეთი ცის აიაზმა და აქ ჯეჯილი რამდენსამე დღეშივე სვინტრისავით მოედვა ნახნავებში.

მხოლოდ დიდი უბედურება ის არის, როგორც მინდვრიდან მოსულნი ამბობენ, ნახნავებში შარშანდელივით თაგვმა ისევ იჩინა თავი.

ეს გარემოება კი ძალიან დამაღონებელი და დამაფიქრებელია. რაც გინდა ბორჯ გადგმული ჯეჯილი იყოს, მას თაგვი ეხლავე ჭამას დაუწყებს და ეხლა თუ მოსავალს ვერა დააკლო რა, გაზაფხულზე, როდესაც თავთავს გაიკეთებს ჯეჯილი და დაოდოქლერდება, გაუსვამს და ერთ კვირაში, სანამ პატრონი მიეშველებოდეს, ქირნახულს მთლად მუსრს გაავლებს, სოროებში შეზიდავს.

შარშან იყო ქიზიყელნი ცარიელზე დასხდნენ ერთის მხრივ მართალია გვალვისაგან, მეორეს მხრით კი თავიანთის დაუდევრობა-შეუგნებლობით, რადგან თაგვი დროზე არ გაწყვიტეს.

წელს არის და იმავ უბედურებას უქადის მათ თაგვი, თუ ეხლავე თადარიგს არ შეუდგნენ ქიზიყელნი და ადგილობრივ ადმინისტრაციის დახმარებით არ შეებრძოლნენ ამ საშინელ მტერს.

დაგვიანება ამ მტერთან საბრძოლველად აღარ შეიძლება, ყველა უნდა აღსდგეს მის წინააღმდეგ, არავითარი სახსარი და ღონე არ უნდა დავზოგოთ თაგვთა სინსილის გასაწყვეტად, რადგანაც იგი დამშევას გვემუქრება.

X.

მუშათა ცხოვრება
რუსეთში.

მექარხნენი და მუშათა დახმარება.

მუშათა საავადმყოფო კასების რიცხვი გამრავლდა. ამის გამო მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებამ ცირკულიარი დაუგზავნა თავის წევრებს მოაწესრიგონ მუშათა სამკურნალო დახმარების საქმე.

ცირკულიარში აღნიშნულია, რომ მუშებს ავადმყოფობის მოწმობა უნდა მისცენ უეჭველად მექარხნეთა ნაცნობმა ექიმებმა. ამის მოსაგვარებლად საზოგადოებაში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეიმუშავებს ისეთს ორგანიზაციის პროექტს, რომ მუშათა უბნებში სცხოვრებდეს ერთი ან რამდენიმე საქარხნო ექიმი.

ამით მექარხნეთა საზოგადოებას ჰსურს გააუქმოს მუშათა საავადმყოფო კასების დამოუკიდებელი მოქმედება სამკურნალო დახმარების საქმეში.

გაფიცვა.

ამ ბოლო ხანს პეტერბურგში საეტლო სახელოსნოს მუშები გაიფიცნენ. გაფიცვა მუშათა სრული გამარჯვებით დასრულდა. მუშების ყველა ეკონომიური მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. ეს გაფიცვა იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ პოლიცია არ ჩარეულა. გაფიცვამ 13 დღეს გასტანა. სულ გაფიცული იყო 600 მუშა.

---

*) ამასთანავე ერთად საჭიროდ მიგვაჩნია მოვაგონოთ მკითხველებს, რომ ეს წერილი გამოწვეულია იმ პოლემიკით, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად სწარმოებდა ქართულ პრესაში ბ-ნ თედო ჟორდანიას შესახებ. ამ უკანასკნელმა სთხოვა პატივცემულ ეპ. დავითს, გამოეთქვა თავისი აზრი, რასაც ამ ჟამად ასრულებს ეპ. დავითი.

რედ.

საავადმყოფო კასების დაარსება. მოსკოვის გუბერნიაში 1000 სამრეწველო მოვალეა შემოიღოს საავადმყოფო კასა. დაარსა აარსებენ ჯერ მხოლოდ 700 სამრეწვ., ამათში 243 სამრეწველომ ცალ-ცალკე კასა დაარსა. დანარჩენი სამრეწველოები 34 საერთო კასაში შეერთდნენ.

ფაქტიურად მოქმედებს 106 კასა.

ფეიქრის საჩივარი.

მოსკოვის სამანუფაქტურო სამრეწველოს ერთმა ფეიქარმა შინაგან საქმეთა მინისტრს საჩივრით მიჰმართა, რომ მსხვილ სამანუფაქტურო სამრეწველოებში ფეიქრებს ორ დაზგაზე მუშაობის ნაცვლად ოთხ დაზგაზედ ამუშავებენო. ამით უმუშევართა რიცხვი მრავლდება, მუშების ფიზიკური ძალა სუსტდება. სამინისტრომ ამ საჩივარს ყურადღება მიაქცია. საჩივარი გადაეცა საქარხნო ინსპექციას და ამ საქმის გამოძიება დაავალა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

12 თებერვალი.

უცხოეთი.

ლონდონი. სათემო პალატა. ეკლენდმა დაწვრილებითი განმარტება მისცა მექსიკის საქმეთა ვითარების თაობაზე.

ვერაკრუცი. სამხედრო მატარებელი ქვეითი ჯარის ერთი როტით მეამბოხეებმა ლიმის მახლობლად ააფეთქეს. მთელი მატარებელი დაინგრა. 55 ოფიცერი, ჯარის-კაცები და ინგლისელი ინჟენერი დაიღუპნენ.

ბრაუნშვიგი. ბრბოსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა.

ბელგრადი. სამხედრო მინისტრმა სკუპშჩინაში განაცხადა, რომ სერბიისა და ოსმალეთის ომის დროს მოიკლა 5.000 კაცი, დაიჭრა 18,000; სერბია-ბულგარეთის ომის დროს მოიკლა 7.000—8.000 კაცი, დაიჭრა 30.000 კაცი. ჭრილობისაგან გარდაიცვალა 2.500 კაცი; ავადმყოფობით—11—12,000; ხოლერისაგან 4.300 კაცი.

ცეტინიე. სკუპშჩინამ არსებითად მოიწონა საპასუხო ადრესის პროექტი. პროექტში იმედია გამოთქმული, რომ სკუტარის დაკარგვა დროებითიაო. სკუპშჩინა სიამოვნებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მთავრობამ თვის სამოქმედო პროგრამაში შეიტანა კონსტიტუციის გადათვალიერება, იუსტიციის რეფორმები, სათემო ავტონომია და დაუძლურებულ ჯარის-კაცთათვის ფონდის დაარსება. სკუპშჩინის აზრით, ჩერნოგორიის ხსნა დამოკიდებულია სერბიასთან რკინის გზის შტოით შეერთებაზე და სკუტარის ტბის დაშრობაზე.

ტოკიო. გაზეთების რედაქციის წარმომადგენელთა კრებამ დაჰგმო პოლიციის მოქმედება და მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა.

კოტორი კამეჩარში მართლმადიდებელ მღვდელს რისტო შუკოვიჩს სამართალში აძლევენ სახელმწიფო ღალატის გამო.

მარმაროშ-სიგეტი. უგრო რუსთა პროცესი. ბრალმდებელმა სიტყვა წარმოსთქვა. ბრალმდებლის სიტყვით უგრო რუსთა მოძრაობა გამოწვეულია რუსების პანსლავისტთა სააგიტაციო მოღვაწეობით. მოძრაობის მიზანი იყო უგრორუსთა რუსეთთან შეერთება. კაბალიუკსა და პერჩაკუს მიმართ ბრალმდებელი სასტიკ სასჯელს მოითხოვს. დამცველი კლეინი უპასუხებს, რომ მოძრაობა გამოწვეულია სიღატაკით. უგრო რუსები ამერიკაში მიდიან. იქ ეცნობიან თვის ერთმორწმუნე რუსებს და იგებენ, რომ ისინი თვის წინაპართა სარწმუნოების ძალით არიან მოწყვეტილნი. სამშობლოში დაბრუნებისას სცდილობენ კავშირი დაიჭირონ მართმადიდებელ სარწმუნოებასთან. ამის წინააღმდეგ სამღვდელოება მიდის. სინიდისის თავისუფლება მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

ლვოვი. სეიმი. უკრაინელთა კლუბის თავმჯდომარემ ლევიცკიმ წაიკითხნ ლექცია, რომლითაც პროტესტს აცხადებს კლუბი კიევში შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის წინააღმდეგ. გალიციის ნამესტნიკმა უპასუხა დეკლარაციას და ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობას ნება არა აქვს ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში; ნამესტნიკმა წინადადება მისცა სეიმს დეკლარაცია არსებითად ნუ განიხილავს.

ბუდაპეშტი. გამოძიებით გამოირკვა, რომ ეპისკოპოს მიკლოცის კანცელარიაში აფეთქება ჯოჯოხეთის მანქანით მოხდა. გაზეთების სიტყვით, პროკურორ მატსის გამოძიებით ჯოჯოხეთის მანქანა რუსეთულია; შესაძლებელია აფეთქება უგრორუსთა პროცესის გამო შურისძიებით მოხდაო. ამავე აზრისაა დებრიჩინის კომიტეტის უფროსიც. ეპისკოპოს მოკლოცის აზრით, აფეთქება რუმინელებმა მოახდინეს.

რუსეთი.

ხარკოვი. სამხრეთ რუსეთის მთის მრეწველთა საბჭო შუამდგომლობს 17 მარტისთვის საგანგებო კრება მოწვეულ იქმნას.

პეტერბურგი. სინოდის ობერ-პროკურორმა მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი შეიტანა სამრევლო სკოლების საეპარქიო, სამაზრო და საოლქო ზედამხედველთა ჯამაგირების მომატებაზე;

უცხოეთი

შვეციის კრიზისი.

მეფე გუსტავმა მოისურვა გეერის დახმარებით ლიბერალური კაბინეტის შედგენა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ალბად მეფეს უნდოდა, რაც უნდა გამხდარიყო, პარლამენტის დაუთხოვნელად შეედგინა კაბინეტი, ამიტომ ხელ-ახლა მიჰმართა არა კონსერვატიულ პარტიების ბელადებს, არამედ პოლიტიკურის მხრივ სრულიად გამოურკვეველ ხამმარშელდს. ხამმარშელდმა შესძლო ამ ძნელი საქმის შესრულება. თუ უკანასკნელ დეპეშებს დავუჯერებთ, შეკრიბა ნამდვილი მოსაქმე კაბინეთი, რომელიც არც მემარჯვენეა, და რომლის პროგრამაც შეიცავს სამხედრო პარტიის ყველა მოთხოვნილებას. ახალი კაბინეტი შესდგება ყველასაგან პატივცემულ პირებისაგან და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ზედა პალატა მას მხარს დაუჭერს. მაგრამ ქვედა პალატაში, სადაც რადიკალები და სოც.-დემოკრატები დიდ უმრავლესობას შეადგენენ (100), რადიკალურ პარტიის ეხლანდელ განწყობილების დროს, სამინისტროს მდგომარეობა მეტად საჭოჭმანოა. პარლამენტის დათხოვნის საკითხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეხვდებიან კაბინეთს პარლამენტშიო. რადიკალების მეთაურებს აუცილებლად მიაჩნიათ პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

მემარჯვენენი და მემარცხენენი ხალხში აგიტაციას განაგრძობენ. 2 თებერვალს მხოლოდ რადიკალებმა 50 უდიდესი მიტინგი გამართეს. ყველა რეზოლიუციებს საფუძვლად დაედო გაერთიანებულ ლიბერალების მანიფესტი. მაგალითად, სტოკჰოლმის მიტინგზე ნდობა გამოუცხადეს გადამდგარ კაბინეთს. აღნიშნულია ისიც, რომ საჭიროა ხალხის თვითმმართველობის დაცვა. სახელმწიფოს თავ-დაცვის საკითხზე ცოტა რამ ითქვა. სოციალისტების მიტინგზე რესპუბლიკას მოითხოვდნენ. არც კონსერვატორები სხედან გულ-ხელდაკრეფილი. როგორც დეპეშები იუწყებიან, მათ ხალხში მოწოდება დაარიგეს. ამ მოწოდებაში სტაფის სამინისტროს იმისათვის ჰკიცხავენ, რომ სახელმწიფო დაცვის საქმე მეფესთან კამათს ამსხვერპლა; ლიბერალურმა პარტიამ მთავარ საკითხად პარლამენტარიზმი დაისახა, სხვებმა კი—სახელმწიფოს უშიშროება. მინისტრს იმასაც უსაყვედურებენ, ვითომც იგი ძლიერ დაუახლოვდა სოციალისტებს, რომელთაც რესპუბლიკის შემოღება და მონარქიის დამცირება სწადიანთო. მოწოდებაში ბოლოს ნათქვამია, დაივიწყონ პარტიული განხეთქილებანი ეროვნულ თავ-დაცვის გულისათვის, რადგან შვეციის ეროვნული არსებობა ბეწვზე ჰკიდია.

მეფეს ბევრი თანაგრძნობის ადრესები მისდის. ამ დღეებში მან მრეწველებისა და ფინახსისტების ადრესი მიიღო. ამ ადრესებში მეფეს მადლობას უძღვნიან იმ სიტყვისათვის, რომელიც, მათის აზრით, ფრიად საჭიროა ისეთს გართულების დროს, რომელსაც შვეცია განიცდის.

სოციალისტურ პარტიის წევრის განდევნა.

ამ დღეებში იტალიურმა სოციალისტებმა პარტიიდან გააძევეს ცნობილი მეცნიერი არტურ ლაბრიოლა, რომელსაც წინედ სოციალისტებს შორის დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა. მათი შემწეობით იგი ქ. ნეაპოლის ქალაქის მოურავად აირჩიეს. პალატაში იგი მუდამ სოციალისტებთან აძლევდა ხმას და მონაწილეობას იღებდა სოციალისტების მანიფესტაციაში. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინედ პარლამენტში მან სიტყვა წარმოსთქვა ტრიპოლიტანიის ომის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ომის სასურველი შედეგები პროლეტარიატისათვის უფრო შესამჩნევი იყო, ვიდრე ბურჟუაზიისათვის. ჯოლიტის მომხრეები და ნაციონალისტები ლაბრიოლას სიტყვას ალტაცებით მიეგებნენ, სოციალისტები კი—დუმილით; აი ეს შემთხვევა გაირჩა რამდენიმე ხნის წინედ პარტიულ კრებაზე. სოციალისტების ორგანომ „ავანტიმ“ ლაბრიოლას წინააღმდეგ საშინელი წერილი დასტამბა და გამოაცხადა, რომ ამის შემდეგ ბურჟუაზიულ პარტიებს შეუძლიანთ ლაბრიოლა თავის წრეში მიიღონ, როგორც „იტალიელების ბრიანი“, სოციალისტებთან კი მას არავითარი კავშირი არ აქვსო.

რუსეთი

პოკროვსკის საქმე.

რამდენიმე დღის წინედ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ ცნობა მოიტანა, რომ უფაში დაატუსაღეს მესამე სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის ყოფილი წევრი პოკროვსკი ავადმყოფი ქალის ძალით გაუპატიურების განზრახვის გამოო.

ამის გამო პეტერბურგიდან „ბატ. დენ“-ს დეპეშით ატყობინებენ: ხმები, რომელიც გავრცელდა პოკროვსკის შესახებ ტყუილია და განზრახ გამოგონილია „ჭეშმარიტ“ რუსების მიერო.

ებრაელები საშუალო სასწავლებელში.

სახალხო განათლების მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც წინადადება ეძლევა საშუალო სასწავლებლების გამგეებს, სრულებით დაიცვან პროცენტული ნორმა ებრაელების მიღების დროს.

სხვა და სხვა ამბები

ცნობილ ჟორესის გაზეთი „ლ'ჰუმანიტე“, რომელიც პარიზში გამოდის, ეხლა 117,928 იბეჭდება. 1905 წელს ეს გაზეთი მხოლოდ 5000 იბეჭდებოდა. წლიური ხელის მომწერი ეხლა ჰყოლია 130.000. ყოველდღიურად იყიდება 88,368 ცალი.

მოწოდება

ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავარ გამგეობის სახალხო მთავრობის ნებართვით. ს. ვანში (გურიაში) გაიხსნა უფასო სახალხო სამკითხველო, რომელიც დაარსდა ამ სოფლის მოწინავე პირთა თაოსნობით და მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილით. ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინად, როდესაც გამოითქვა სურვილი სამკითხველოს დაარსების შესახებ, არჩეულ იქმნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელთაც დაევალა ამ საქმის მოწესრიგება. კომისიამ მიმართა თხოვნით და მოწოდებებით სხვა და სხვა ქალაქებში მცხოვრებთ, როგორც ამ სოფლის შვილთ, ისე სხვა ნაცნობ-მეგობარ პირთ, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ ფულით თუ წიგნებით. ასეთ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია და მოგროვილ ფულებით აგებულ იქმნა სამკითხველოსათვის შენობა, რომელიც ორას მანეთამდის დაჯდა.

დღეს სამკითხველოს ამ შენობის და შემოწირულ წიგნების მეტი, რომელთა რიცხვი, საგრძნობლად მცირეა, არრა გააჩნია, მაგ. არ არის წიგნებისათვის შკაფი, საზოგადო მოღვაწეთა და მგოსანთა სურათები და სხ.

თუმც ამ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა დიდად გატაცებულია კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა დაარსებით, მაგრამ ამ ჟამად ნივთიერ ხელმოკლეობის, მოუსავლობის და სხვა ათასგვარ სასოფლო თუ საზოგადო გადასახადების გამო, მათ არავითარი სახსარი არ გააჩნიათ, რომ მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ სამკითხველოს. ამას ზედ ერთვის ის, რომ ხსენებულ სოფლის მცირე რიცხოვან მცხოვრებთ გამოწყებული აქვთ ახალი ქვის შენობის აგება ვანის ორ-კლასიან სასწავლებლისათვის, რომელიც მათ 6000 მანეთზე მეტი უჯდებათ.

ამიტომ ვთხოვთ მუშებს, ინტელიგენტებს და ყველა გულშემატკივარ და ქველმომქმედ პირთ, რათა თავიანთი წვლილის გაღებით ხელი შეუწყონ ამ ნორჩ და ფრიად სიმპატიურ დაწესებულების არსებობას.

დახმარების გაწევა შეიძლება როგორც ფულებით, აგრეთვე წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და სურათების გამოგზავნით.

ამასთანავე ვთხოვთ ყველა ჩვენში არსებულ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და წიგნის გამომცემელ-ამხანაგობებს, რომ კეთილ ინებონ და თითო ცალი თავიანთი გამოცემათა გამოუგზავნონ ჩვენ ღარიბ სამკითხველოს უფასოდ, ან დაკლებულ ფასებში.

ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და სხვა ნივთების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით:

Ст. Нигоити. Ванской бевплатн. библ. სხვა შემოწირულება მიიღება ამ ადრესით:

Ст. Нигоити Вани, завѣдывающему Ванскаю безп. библ. Василію К. Махарадзе.

სამკითხველოს გამგე ვასილი მახარაძე, გამგეობის წევრნი: ერისტო ხუხუნიშვილი, გ. სიხარულიძე, მიხაკო სიმონიშვილი, გრიშა მახარაძე.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ჩვენი მოწოდება თავიანთ გამოცემაში.

გამგეობა.

თეატრი და ხელოვნება

ვალერიან გუნიას ბენეფისი გაიმართება დღეს, 13 თებერვალს, ქართულ თეატრში. მობენეფისემ ამოირჩია შილერის განთქმული პიესა „დონ-კარლოსი“, თარგმნილი ჩვენი ნიჭიერი პოეტი ა. შანშიაშვილის მიერ.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში პარასკევს, 14 თებერვალს, სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია მართავს საბავშვო პროექტორს. დასაწყისი დილის 11 საათიდან. ფასები 5-დან, 10—კაპეიკამდე.

ბაქო. შაბათს, 8 თებერვალს სომეხთა კალთ-მოყვარე საზოგადოების სათეატრო დარბაზში, ახალგაზრდა მსახიობის ცაცა ამირეჯიბის საბენეფისოდ, წარმოდგენილ იქნა ნ. შიუკაშვილის პიესა „მთის ზღაპარი“. წარმოდგენამ საერთოდ სუსტად ჩაიარა: არც გარეგანი მოწყობილება შეესაბამებოდა იმას, რასაც პიესა მოითხოვს, და არც მოთამაშენი მომზადებულ იყვნენ შესაფერად. „მთის ზღაპარ“-ისთანა პიესა-კი, სადაც, ცხოვრებიდან აღებულ ცოცხალი ტიპების ნაცვლად, გამოყვანილია ავტორის მიერ წინდაწინვე დასახულ აზრ-შეხედულობის გამომხატველნი და მატარებელნი, განსაკუთრებული მომზადება და დადგმა უნდა, რაც ჩვენ დასს არ ძალუძს და რასაც სცენაც ხელს არ უწყობს.

ხალხი წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო, მობენეფისეს ცხოველად მიეგებნენ და მიართვეს ყვავილები და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება კვირას, 16 თებერვალს, იმავე სომეხთა კალთ-მოყვარე საზოგადოების სათეატრო დარბაზში. ამ დღეს ბენეფისია მსახიობის და ჩვენი დასის რეჟისორის ნიკო გვარამაძისა. წარმოდგენილი იქნება ახალი, ორიგინალური პიესა შალიკაშვილისა „გადაკრული მუხა“. იმედია ბაქოს ქართველობა პატივსა სცემს ახალგაზრდა მსახიობს და ამ ბენეფისს ხალხი ბლომად დაესწრება.

შემოწირულება

ბ. რედაქტორო!

გიგზავნით ხუთს მანეთს, შეგროვილს ერთს ოჯახში ილია ჭავჭავაძის მამულის გამოსასყიდად და გთხოვთ ფულის გამომღებთა სია დაბეჭდოთ: გიორგი ბაქრაძემ 2 მ., გიორგი ხეიმანმა 1 მ., ისაკ ქოქრაშვილმა 1 მ. და დ. ნ—მა 1 მან.

დათიკო ნ.

რედაქციამ მიიღო სოფ. ხაშმის გლეხთა მომღერალ გუნდისაგან 5 მანეთი ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ.

დღეს

ქართული თეატრი. ვ. გუნიას ბენეფისი „დონ-კარლოსი“.

სახაზინო თეატრი. ოპერა „აფრიკელი ქალი“.

არტისტიული თეატრის დარბაზში. მე-4 ისტორიული საღამო გალსტონისა „ლისტი“.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისკენ: **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** , 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საღამოს 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

[illegible]—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ს. ა. გრიაზნოვი

სხვა მასწავლებლებთან ერთად

ამზადებს

გიმნაზიის, რეალურ დ კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 42

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინ-ახალციხისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. **ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 მ. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 ნ. დ. **ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. **ნათაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 ვ. ა. **მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ველის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და [illegible] მოედანზე.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმ ნავასარიძის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარიძე: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბახანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეჟიტაშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ბეჟიტაშვილი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარიძე. 1004

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ჩვენი მწერლობა.

ეკალაძე ია. თხზულ. ტ. 1904 წ. 1 მ.,
ინგოროყვა პ. ძველი ქართ. სასულიერო პოეზ., ტ. 1913 წ. 2 მ.,
ლარიძე. დილ არიანი, ტ. 1903 წ. 2—
მირიანიშვილი პ. ამირანის ლექსები, ტფ. 1913 წ. . ფასი 30 კ.
მირიანაშვ. ალ. იგ.-არაკ ტ. 1912. 75 „
მახხანელი. მარო, დრ. . 1897 წ. 3 „
ნაკვესები, ტფ. 1904 წ. . . . 10 „
რაზიკაშვილი თ. ხალხური ზღაპ. ქართლში შეკრ. ტფ. 1909 წ. 75 „
იგივე კახეთში და ფშავში შეკრებილი, მისივე, ... 75 „
რაზიკაშვილი ნიკო. დიაკვნიანი. ტ. 1902 წ. . . . . 20 „
რამიშვილი ტრ. ექიმი აშირბაჯიანი, პიესა 3 მ., ტფ. 1912. 20 „
„ ცხოვრების ნაწყვეტი, დრ. 1 მოქ., ტფ. 1912 წ. . 15 „
რუსთაველი. ვეფხ. ტყაოს., ქართველიშვ. გამ. ტ. 1888 წ. 11—65 „
იგივე, წ.-კ. ს. გამ. ტ. 1903. 60 „
რუხაძე. ცისკარი, ლექს. 1904 წ. 25 „
საბა-სულხან ორბელიანი. სიბძნე-სიცრუე, ტფ. 1902 წ. 50 „
სარგის თმოგველი, დილარიანი, ტფილ. 1897 წ. . . . 25 „

მიღებულია გასასყიდად სურათები. ყაზბეგისა, მ. გურიელისა, ნინოშვილისა, კ. ყიფიანისა, ვაჟა-ფშაველასი, ერეკლე მეფისა, თითო სურ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი და

საბუღალტრო კურსები

იმანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა

გადავიდა ახალს და უფრო ფართო შესაფერ ბინაზე,

მიხეილის ქუჩა, სახლი ქავჭავაძისა № 36.

კურსებზე პირველ ჯგუფში მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან, მეორე ჯგუფში—საღამოს 7 საათიდან. გამოცემულია სახელმძღვანელოები მიწერ-მოწერით ბუღალტერიის შესასწავლად. 83

თეგზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 6.

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.